საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს III, IV, V სემესტრის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის I სემესტრის სტუდენტებისთვის 2013/2014 სასწავლო წლის (შემოდგომის სემესტრი) ინგლისურენოვანი სასწავლო სტიპენდიების მოსაპოვებლად

საბაკალავრო სტიპენდიების ჩამონათვალი სასწავლო მიმართულებების მიხედვით:

ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტები *(www.ut.ee)*

ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტები *(www.lu.lv)*

ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიტვა)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიული ფაკულტეტები *(www.vu.lt)*

კომენიუსის უნივერსიტეტი ბრატისლავაში (სლოვაკეთი)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიული ფაკულტეტები *(www.uniba.sk)*

ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი (გერმანია)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიული ფაკულტეტები. *(www.euv-frankfurt-o.de/en)*

ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი (ლიტვა)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტები *(www.vdu.lt/en)*

პრაღის ჩარლზის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტები *(www.cuni.cz/UKENG-1.html)*

მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიული ფაკულტეტები (http://www.muni.cz)

სამაგისტრო სტიპენდიები სასწავლო მიმართულებების მიხედვით:

ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი)

ეკონომიკისა და ბიზნესის და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტები *(www.iro.uw.edu.pl)*

ჰელსინკის უნივერსიტეტი (ფინეთი)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
(http://www.helsinki.fi/socialsciences/studying/admissions/visiting.html)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- CV ინგლისურ ენაზე
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე 5 ეგზემპლარად)
- რეკომენდაციის წერილი (ინგლისურ ენაზე)
- ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში)
- ბაკალავრიატში ან მაგისტრატურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ბაკალავრის დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლი (მაგისტრატურის სტუდენტებისთვის)
- ორი ფერადი ფოტო–სურათი ზომით 3/4
- პასპორტის ასლი
- პრიორიტეტების მიხედვით სასურველი უნივერსიტეტების ჩამონათვალი

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი – ინგლისური ენის ტესტი (B2 დონე); II ეტაპი – გასაუბრება
კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება 2012 წლის 22 ნოემბერს 10 საათზე,
საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ.#11)
აუცილებლად იქონიეთ თან პირადობის მოწმობა!

<u>საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 2012 წლის 20 ნოემბერი 12 საათი</u>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ლელა კაცაძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204, ტელ: 2 25 02 12).

შენიშვნა: დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!
პირველი ეტაპის შედეგები და მეორე ეტაპზე დაშვებულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება თსუ ვებ–გვერდზე!